

## ნომადი ბართაია

### ეტიმოლოგიური ძიებანი თ რ თ ბ ა

თრობა როგორც ახალ, ისე ძველ ქართულ ლექსიკონებში ასეა განმარტებული<sup>1</sup>: სახელი თვრება ზმის მოქმედების; დათრთბა - სიმთვრალის ქმნა<sup>2</sup>; თრთბა - თვრები (ვსოვრები, მთრავს), შეღრუუება, შებრუუება ღვინისგან...<sup>3</sup> თრობა მთვრალობა, მომთვრალე, მათრობელი.<sup>4</sup> თრთბა - დათ(ვ)რობა, დამათრობელი, დამთვრალი, გადამთვრალი, მათრობელი მთვრალობა, მომთვრალე, სათრობელი.<sup>5</sup>

„ძველ ქართულში გვაქვს თუ ერთ-ვარიანტთა მონაცემები თრთურ-თრობა დამახასიათებელი მორფოლოგიური წესის მიხედვით).<sup>6</sup>

ენათმეცნიერები (ო. უორდროპი,<sup>7</sup> ვ. თოფურია,<sup>8</sup> პ. ფენრიჩი და ზ. სარჯველაძე) ქართულ თუ ერთ ძირის ეკვივალენტად სვანურ თრ-თ-ლითრ-ე „სმას“ მიჩნევენ; ხუ-ი-თრ-ე, „ვსვამ“; ლე-თრ-ე „სასმელი“; ლი-თ-უნე „დალევინება“. <sup>9</sup>

თუმცა შევიშნავთ, რომ სვანური ლი-თრ-ე ნიშნავს სმას და არა თრობას.

ა. კლიმოვი საერთო ქართველური ფუძე ენისათვის აღალგენს არქეტიპს თრ-ე<sup>10</sup>.

ჩვენი ყურადღება მიიჰყრო ერთმა გარემოებამ, გვეჩვენება, რომ თრთბა ს უოველთვის ერთნაირი სემანტიკური დატვირთვა არ გააჩნია, როგორც ამას გვთავაზობენ ქართული ლექსიკონები. მაგალითისათვის მოვიტანთ ერთ ამონარიდს გიორგი მთაწმინდელის თხზულებიდან „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“; და მასვე უამსა აღივსო ცაგ ლრუბლითა და ვიდრე უამისა ზიარებამდე, შეიქმნა წვიმად საშინელი და დაათრო ყოველი ქვეყანაი.<sup>11</sup>

ჩვენი აზრით, ამ კონტექსტის მიხედვით, თრობა ნიშნავს არა სიმთვრალის ქმნას, შეღვინიანებას, არამედ, დალბობას, დალტობას, გაეღვინთვას...

საინტერესოა ერთი მომენტი. ქართულში დასველება თრობის მნიშვნელობითაც გვედება. ამ სიტყვას თედო სახოკია ისე განმარტავს: დასველება-ღვინით გამასპინძლება მეგობრისა, რომელთაც უნდა უთხრან: მშვიდობაში დაცვითე ახალი ტანისამოსი. მგლ.. „გუშინ ახალი ტანისამოსი ჩავიცვი და ამხანაგებმა დამასველებინეს.

როცა ახალ ტანისამოსს ჩაიცვამენ, მეგობრებს ღვინით უნდა გაუმასპინძლდეს ახალი ტანისამოსის პატრონი, უნდა დაასველოს ტანისამოსი. აქედან წარმოებული დასველება.<sup>12</sup>

გარდა ამისა, საუბრისას, ჩვეულებრივია დასველების ხმარება დათრობის მნიშვნელობით, მაგ., „სად დასველდი?“ (სად დათვერი?) და ა.შ.

სპარსულ ენაში არის ლექსიკური ერთეული ჯ(თარ), რომელიც ნიშნავს სველს. აქედან ნაწარმოებია ზმნა چრ კრი (თარ ქარდან) დასველება.

არ არის გამორიცხული, წარმოდგენილი ქართული და სპარსული ლექსიკური ერთეულები საერთო წარმომავლობისა იყოს.

## დამოწმებული ლიტერატურა:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986.
2. სულხან-ხაბა ოჩბელიანი, „სიტყვის კონა“, თბილისი, 1949.
3. ნ.ჩუბინიშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961.
4. ი. იმხაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1986.
5. ი.აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
6. პ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, ქართველურ ენათ ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1990.
7. O.Wardrop, English-Svanetian vocabulary: Journal ox the Royal Asiatic Society, 1911, July, Paris.kgv.602.
8. ვ.თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, ტფილისი, 1931.
9. ქ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი.
10. А.Климов (ЭСКЯ, გვ.95).
11. გ. მირწმინდელი: „ოთხეა და ექვთიმეს ცხოვრება“. ქართული მწერლობა, ტ. II, 1987.
12. თ. ხახუკია, ქართული ხატვანი სიტყვა-თქვანი, თბილისი, 1979.
13. Персидско-русский словарь в двух томах, под редакцией Ю.А. Рубинчика, Москва, 1983.

## NOMADI BARTAIA

ETYMOLOGICAL INVESTIGATIONS. *TROBA* ("BECOMING DRUNK")

*Troba* in the old and modern Georgian means to become drunk. "tr" root is traced in another kartvelian language, in Svan. Though li-tr-e does not exactly mean to become drunk, it means to d/r/i/n/k. The word *troba* also has the meaning to become wet, to drench. Persian *tur* also means wet. The verb *tur* Kardan to make wet is derived from the same root.

We suppose that the discussed lexical units of the Georgian and Persian languages have the common source of origin.